საზოგადოება

ევროპის პროფკავშირების განათლების კომიტეტმა საქართველოს პრეზიდენტს წერილით მიმართა

17:30 16-03-2011

ევროპის პროფკავშირების განათლების კომიტეტმა (ETUCE-EI) საქართველოს პრეზიდენტს პედაგოგთა პროფკავშირის მხარდასაჭერად წერილით მიმართა.

როგორც "ინტერპრესნიუსს" საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებიდან აცნობეს, ევროპის პროფკავშირების განათლების კომიტეტის (ETUCE-EI) პრეზიდენტმა რონი სმიტმა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირბით საქართველოს პრეზიდენტს წერილით 11 მარტს მიმართა. მასში აღნიშნულია, რომ ურთიერთობა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირსა და საქართველოს მთავრობას შორის პროფკავშირის პრეზიდენტის არჩევნების შემდგომ თანდათან უარესდება. პედაგოგთა პრფკავშირი კარგავს დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროს. მას შემდეგ, რაც საწევროების გადარიცხვა შეწყდა. ორგანიზაციის ზოგიერთი წარმომადგენელი კი გარე ძალების გავლენის ქვეშ მოექცა.

ამასთან, წერილში აღნიშნულია, რომ უმცირესობის ჯგუფმა სარჩელი აღძრა სასამართლოში, რათა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ყრილობის შედეგები გააბათილოს. საქმის განხილვა სასამართლოში 2011 წლის 17 მარტს იწყება.

"EთUßE გამოთქვამს ეჭვს, რომ ყველა ზემოხსენებული საკითხი ურთიერთკავშირშია და საქართველოში სხვადასხვა ძალები ცდილობენ, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ყრილობის დემოკრატიული შედეგი ეჭვის ქვეშ დააყენონ", - ნათქვამია წერილში.

წერილის მიხედვით, ევროპის პროფკავშირების განათლების კომიტეტის (ETUCE-EI) პრეზიდენტი გამოთქვამს რწმენას, რომ "საქართველოს პრეზიდენტი გაატარებს შესაბამის ზომებს, რათა დაცული იყოს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირის ავტონომიურობა და მთავრობის პოლიტიკა ამ ორგანიზაციის მიმართ იყოს გამჭვირვალე".

ევროპის პროფკავშირების განათლების კომიტეტი (ETUCE-EI) ევროკავშირის სოციალური პარტნიორია და წარმოადგენს 12 მილიონ 800 ათას მასწავლებელს ევროპის 45 ქვეყნის 135 პროფკავშირული ორგანიზაციიდან.

ევროპის პროფკავშირების განათლების კომიტეტის (ETUCE-EI) პრეზიდენტის რონი სმიტის მიერ საქართველოს პრეზიდენტის მიმართა გაგზავნილი წერილის ასლები, ასევე, გაეგზავნა საქართველოს პრემიერ-მინისტრს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, განათლების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს, ევროკავშირის დელეგაციას საქართველოში, განათლების ინტერნაციონალს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას, საერთაშორისო პროფკავშირულ გაერთიანებას.

მასალის გამოყენების პირობები